

თექის დამზადება



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:

მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02126-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში / Basic Vocational Qualification in Felt Preparation. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - „შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

მიზანი:

პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება თექის დამზადების მიმართულებით. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

ჩარიცხვის პროცედურები:

- პროფესიული გამოცდა - (გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ტესტი და სივრცითი უნარები)

სწავლების ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 59 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 69 კვირა;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

თექის დამზადების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მატყლის მღებავად, ცხოველური ბოჭკოს მჩეჩავად, მატყლის მთელავად. ტრადიციული თექის აქსესუარების დამამზადებლად. პირს შეუძლია დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის 13.1; 13.2; 13.20; 13.20.0; 13.3; 13.30; 13.30.0; 13.96.0; 14.19;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7318;

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 7 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამურად 18 კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამურად 20 კრედიტის ოდენობით და 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 37 კრედიტის ოდენობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 75 კრედიტი.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 75 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 59 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 69 კვირა;

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	2
6.	უცხოური ენა	4
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	18
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	2
2.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
3.	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	2
4.	საფეიქრო მასალის ღებვა	4
5.	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა)	8
	ჯამი:	20
თექის დამზადების სავალდებულო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მატყლის თელვა სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით 2	10
2.	მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე 2	8
3.	მხატვრული თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება 2	8
4.	ქვილთი-ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება 2	6
5.	პრაქტიკული პროექტი - თექის დამზადება 2	5
	ჯამი:	37
	სულ:	75

სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები:

1. სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 10.
2. კვალიფიკაციის მინიჭების პირობები -იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 14.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- ✚ ქალაქ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სამხატვრო აკადემია გობელენისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმი.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას ესკიზი;
- მოამზადოს მატყლი თელვისათვის;
- მოთელოს მატყლი სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით;
- მოთელოს მატყლი მოცულობით ფორმებზე;
- დაამზადოს მხატვრული თექის ნაწარმი და აქსესუარები;
- შექმნას მხატვრული ქსოვილი - ქვილთი.

პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი:

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.